საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან
არსებული სსიპ საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის თავმჯდომარეს
ბატონ შოთა ქარჩავას

ამავე დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური
უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის
ალექსი ლოლიშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

როგორც თქვენთვის ცნობილია თელავის მუნიციპალიტეტში, თელავის რაიონული სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, მიშენების სამშენებლო სამუშაოების წარმოების ნებართვისათვის შესაბამისი დოკუმენტაცია წარვადგინეთ თელავის მუნიციპალიტეტში.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ოქტომბრის N48 დადგენილებით „მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებელის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ განისაზღვრა ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართისათვის -1 კვადრატული მეტრი 1 (ერთი) ლარის ოდენობით, აგრეთვე ხაზობრივი ნაგებობებისათვის (რკინიგზა, წყალსადენი, გაზსადენი, ელ. გადაცემის ხაზები, ელ. კავშირი, არხები და სხვა) -1 კვადრატული მეტრი- 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

თელავის რაიონული სასამართლოს პროექტის განაშენიანების ფართია- 238,29 კვ.მ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭიროა, მოსაკრებლის თანხის 238,29 ლარის გადახდა, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

სახაზინო კოდი-300853090 მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის.

ანგარიშის ნომერი-200 122 900.

ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი-TRESGE22 სახელმწიფო ხაზინა.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ დაავალოთ საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უზრუნველყოს ზემოაღნიშნული თანხის გადარიცხვა.

დანართი: 2 (ორ) ფურცლად.

პატივისცემით,

ალექსი ლოლიშვილი

14.11.2016წ.

შემოსული
№ 4962 14.11.16

❮ უკან დაბრუნება (/ka/document/search?query=&geo=on&query_target=title&type=main&group=&issuer=%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5+%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%EawTSU6ZaW4HdzjK8WKjsRsUYvh8onVcYe2APpaewevs&form_id=_document_search_form)

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება **№48**

2014 წლის **22** ოქტომბერი

ქ. თელავი

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ" ქვეპუნქტის , „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და მე–4 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი **1**

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელი.

მუხლი **2**

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი განისაზღვროს ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართისათვის - 1 კვადრატული მეტრი 1 (ერთი) ლარის ოდენობით, აგრეთვე ხაზობრივი ნაგებობებისათვის (რკინიგზა, წყალსადენი, გაზსადენი, ელ. გადაცემის ხაზები, ელ. კავშირი, არხები და სხვა) - 1 კვადრატული მეტრი 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

მუხლი **3**

დამტკიცდეს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.

მუხლი **4**

მოსაკრებლის თანხა მთლიანად ჩაირიცხოს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი **5**

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — არჩილ თხლაშიძე

დანართი

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის გადახდის
ინსტრუქცია

ეს ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.

მუხლი **1.** ზოგადი დებულებანი

1. მშენებლობის ნებართვა არის განსაზღვრული ფორმის მქონე დოკუმენტი, რომელიც უფლებას აძლევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, განახორციელოს შენობა - ნაგებობების მშენებლობა ნებართვაში მითითებულ ვადებში.

2. მშენებლობის ნებართვა ადასტურებს მისი მიმღების უფლებას, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები ნებართვაში მითითებულ ვადებში.

მუხლი **2.** მოსაკრებლის დაბეგვრის ობიექტი

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე/მოსარგებლე ფიზიკური და იურიდიული პირი.

მუხლი **3.** მოსაკრებლის გადამხდელი

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადამხდელნი არიან მშენებარე ობიექტების მესაკუთრე/მოსარგებლე ფიზიკური და იურიდიული პირები ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომელთაც სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად სჭირდებათ მშენებლობის ნებართვა.

მუხლი **4.** მოსაკრებლის გადახდისაგან განთავისუფლება

1. მოსაკრებლის გადახდისაგან განთავისუფლებულია:

ა) სტიქიური უბედურებების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობა;

ბ) სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100 % - იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც მუნიციპალიტეტებში ახორციელებენ წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი გავრცელდეს 2016 წლის 01 იანვრამდე.

სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" 2010-2016, ყველა უფლება დაცულია.

დამუშავებულია AzRy© LTD (http://www.azry.com)-ს მიერ

სახელმწიფო
ბიუჯეტი

საგადახდო მოთხოვნა #27998

(დამტკიცებული ხაზინაში)

სახაზინო კოდი	09 01 02	დასახელება	საერთო სასამართლოები		
ვალდებულების #	1492	მოთხოვნის საფუძველი	წინასწარი გადახდა		30
საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	31.1.1.2	თანხა ლარებში	238.29	თანხა სიტყვით	ორასოცდათვრამეტი ლარი და ოცდაცხრა თეთრი
განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი			203860642		
დასახელება	საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი				
მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი			0		
დასახელება	ერთიანი ანგარიში; სხვა შემოსულობები; თვითმართველი ქალაქი თელავი				
მიმღების ბანკის კოდი			TRESGE22		
დასახელება	ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"				
ანგარიშის #	GE24NB0330100200165022			საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი	300853090
გადახდის დანიშნულება	სხვა - მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე				

მოთხოვნის დამატება:	მარიამი გუგეშაშვილი	17/11/2016 13:44
მოთხოვნის დამოწმება:	ეთერ დვალიშვილი	17/11/2016 15:28
მოთხოვნის გაგზავნა ხაზინაში front-ოფისიდან:	გიორგი კაკაურიძე	17/11/2016 15:31
მოთხოვნის მიღება:	მედეა მორჩილაძე	17/11/2016 16:56
განკში გაიგზავნა:		17/11/2016 16:57

17/11/2016

ტრანზაქცია
განხორციელებულია

~~751~~

751